# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— პარასკევი, 29 სექტემბერი 1900 წ. № 1253

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღით).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**


## ახალი ამბავი

✦ 27 სექტემბერს შეუდგა მუშაობას, სამიწად-მოქმედო სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით, საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს საკითხი, თუ როგორ უნდა იქმნას განხორციელებული ჩვენში ახალი დებულება **სახელმწიფო გლეხთა** მიწად-მფლობელობის გაწეს-რიგების შესახებ. კომისიაში მონაწილეობას იღებენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და ხსენებულ სამინისტროს მოხელენი.

✦ ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ამას წინად იმის შესახებ, რომ მიეცეს მას კონცესია **რკინის გზის** გაყვანისა ქ. ოზურგეთიდან სადგურ ნატანებამდე და შემდეგ სადგურ ნიკოლაევსკამდე იმ პირობით კი, რომ ქალაქს ნება ჰქონდეს ეს კონცესია გარდასცეს შემდეგ კერძო პირთ ან კამპანიას ქალაქისთვის სასარგებლო პირობებით. როგორც სჩანს ახლად მოსულ ცნობებიდან, გზათა სამინისტრო, თუმცა თანახმაა ხსენებულ რკინის გზის გაყვანისა, უარჰყოფს ქალაქის მონაწილეობას ამ საქმეში და უფრო მოსახერხებლად სცნობს, რომ გზა კერძო კამპანიამ გააკეთოს.

✦ „კავკაზ“-ს შეუტყვია, რომ უმაღლესს მთავრობას საჭიროდ უცვნია დაარსებულ იქმნას საგანგებო კომისია სპეციალისტებისა და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, რომელსაც უნდა დაევალოს განსინჯვა პროექტებისა **ბათუმის ნავთსადგურის** გაუმჯობესობისა და გაფართოვების შესახებ.

✦ 26 სექტემბერს გაიხსნა ბათუმის **საქალებო გიმნაზია.** ამ დღეს გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, გიმნაზიის გამგე-მასწავლებელნი, მოწაფე ქალთა მშობლები და სხვანი. სწავლა დაიწყო 27 სექტემბრიდან.

✦ ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მმართველობა დაჰკითხებია ამას წინად საერო განათლების სამინისტროს **სომეხთა სამრევლო სკოლების პროგრამის** შესახებ. სამინისტროს ამის გამო საჭიროდ უცვნია ზოგიერთი ცვლილება მოახდინოს ამ სკოლების პროგრამაში. სხვათა შორის მინისტრს საჭიროდ დაუნახავს, რომ ხსენებულ სკოლებში ყველა საგნების სწავლება რუსულს ენაზე სწარმოებდეს, გარდა სადმრთო სჯულისა და სომხურ ენისა, რომელნიც ისევ სომხურ ენაზე უნდა ისწავლებოდნენ. ეს განკარგულება უნდა განხორციელებულ იქმნას თან და თან, ორის წლის განმავლობაში.

✦ სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, რომელიც ამ დღეებში მოვიდა ოჩემჩირეს, დაათვალიერა ტყვარჩელის **ქვა-ნახშირის** მადნები და დაწყებული მუშაობა.

✦ „ნემენცების ბაღში“, მიხეილის ქუჩაზე, დღეს, 22 სექტემბერს, დადგმული იქნება საქველმოქმედო მიზნით **ბუნდოვანი სურათები** „ვეფხის-ტყაოსანი“დან და სხვა მრავალი, სხვათა შორის ინგლის-ტრანსვაალის და ჩინეთის ომიდან ცნობილის მოგზაურის ჯონმორისის მიერ. ფასი ბილეთებისა 50 კაპეიკიდან 2 მანეთამდე; დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მსახურების **საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა.**

✦ სოფელ ბელოქანიდან (ზაქათალის ოლქი) „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ: „აგერ მესამე კვირაა აქ **საქონლის ჭირი** მძვინვარებს. ავადმყოფ საქონელს ჰხოცვენ და პატრონთ ჯილდოს აძლევენ. მიუხედავად ამისა, მცხოვრებნი ჰმალავენ ავადმყოფ საქონელს: მათ არ სჯერათ, რომ სენი გადამდებია და არავითარ ზომებს არ იღებენ მის წინაარმდეგ. ამის გამო სენი საშინლად ვრცელდება გარშემო სოფლებში“.

✦ სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში განზრახულია **დაარსდეს** სოფლის საზოგადოების ხარჯით **სასოფლო ქსენონი.**

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ გამოცხადდა მთავრობის განკარგულება —სამტრედიისა, ლანჩხუთისა, ყვირილისა და ბელაგორის ნაწილებში **ორის ბოქაულისა და სამის თანაშემწის** თანამდებობათა დაწესების შესახებაო.

✦ როგორც სჩანს „კავკასიის სასოფლო მეურნეობა“-ში დაბეჭდილ კორრესპონდენციიდან, წელს დუშეთის მაზრაში **ბურის მოსავალი** გვარიანად უნდა ჩაითვალოს, ნამეტურ წინა წლებთან შედარებით, როდესაც სეტყვის გამო საკმაოდ მარცვალიც კი ვერ შეგროვდა დასათესად. წელს, შუათანა აღრიცხვით, ხორბალი მოვიდა დესეტინაზე 60 ფუთი. დუშეთში ამ ჟამად ერთი ფუთი ხორბალი 1 მანეთად იყიდება. ხილის მოსავალი მაზრაში მეტად ცუდია, რადგანაც ცივი და წვიმიანი ზაფხული იყო. ამავე მიზეზისა გამო ყურძენიც გაფუჭდა,ვერ დამწიფდა; მოსავალი ცუდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ უკანასკნელ კვირეებში კარგი დარი დაიჭირა და, თუ კიდევ ერთი თვე გაგრძელდა ასეთი თბილი დღეები, შესაძლებელია ბევრგან ვენახი გამობრუნდეს. თივა კარგია, თუმცა ბევრი დალპა, რადგანაც წვიმებმა აღება არ დააცალეს მცხოვრებთ. ფუთი თივა დუშეთში 20—30 კაპეიკად იყიდება.

✦ სამშაბათს, 26 სექტემბერს, ტფილისის სატეხნიკო რკინის-გზის სასწავლებელში მოხდა **წლიური აქტი,** რომელსაც დაესწრო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ბ-ნი ზავადსკი, რკინის გზის უფროსი მოხელენი და მრავალი გარეშე საზოგადოება. წაკითხულ ანგარიშიდანა სჩანს, რომ სწავლა წელს დაუსრულებია 19 ტეხნიკს. რადგანაც სასწავლებელში უადგილობისა გამო ბევრი მსურველი არ იქმნა მიღებული, სასწავლებლის ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს პარალელურ კლასის გახსნის შესახებ.

✦ ფინანსთა სამინისტროს გამოუცია საყურადღებო სტატისტიკური კრებული, რომელშიაც მოთავსებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი **სარგებლიანი ქაღალდი** იყო შენახული 1900 წლის პირველ იანვრისათვის სახელმწიფო და კერძო საბანკირო და საფინანსო დაწესებულებებში მთელს იმპერიაში. ამ ცნობებიდან უფრო საინტერესოა ის, თუ როგორ არიან განაწილებულნი სარგებლიანი ქაღალდები გუბერნიათა შორის. პირველი ადგილი უჭირავს პეტერბურგის გუბერნიას, რომელსაც ეკუთვნის 1.549.367,193 მანეთის სარგებლიანი ქაღალდი; მას მისდევს მოსკოვის გუბერნია, რომელსაც აქვს 403.698,467 მანათის %%-ანი ქაღალდი; შემდეგ—კიევის გუბერნია, რომელსაც აქვს 71.957,244 მანათის %-ანი ქაღალდი; შემდეგ ვარშავის გუბერნია, სადაც %%-ანი ქაღალდი 66.304,812 მანათისა არის; შემდეგ—ხერსონის გუბერნია, რომელსაც ეკუთვნის 55.834,814 მანათის %-ანი ქაღალდი; შემდეგ ოთხ გუბერნიას (დონის ოლქსა და იაროსლავის, ლიფლანდიისა და ხარკოვის გუბერნიებს) აქვთ თვითოეულს 38 მილიონ მანეთზე მეტი %-ანი ქაღალდი; შემდეგ მოდის ათი გუბერნია, მათ შორის ბაქოსა და ტფილისის გუბერნიებიც, რომელთაც 20 მილიონ მანეთზე მეტი %%-ანი ქაღალდი აქვთ; შემდეგ 21 გუბერნიას 10 მილიონ მანეთზე მეტი სარგებლიანი ქაღალდი აქვს და ბოლოს ყარსის ოლქია, რომელსაც მხოლოდ 68.800 მანათის სარგებლიანი ქაღალდი აქვს.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

α შორეულ აღმოსავლეთიდან მოსულ ახალ ცნობებიდან სჩანს, რომ ფენტიენის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილში აჯანყება თან და თან სუსტდება. რუსების ჯარების მოძრაობა ბეითანის აღების შემდეგ თავისუფლად სწარმოებს და მოკრივენი მათ აღარ ეწინააღმდეგებიან. მშვიდობიანობის მომხრე ჩინელთა სიტყვით, ამბოხება თუმცა ნელ-ნელა ჰქრება, მაგრამ **დიდის**

მუშტის» მომხრეთა რიცხვი ჯერ კიდევ დიდია. დიდძალი მოკრივე ამ ჟამად შეგროვილა ცი-ლი-ხაისტბის ნაპირებზე და შენ-ტანის ახლო; შემდეგ, მათი ძალები იმყოფებიან ციან-ხეს ნაპირებზე პან-ცზიან-ჩჟუანთან. ამ ადგილებში ჯერ ევროპიელთა რაზმებს საქმე არ ჰქონიათ. გარდა მოკრივეთა, უკანასკნელ დროს მათ მაგალითს აჰყვნენ სხვა საიდუმლო საზოგადოებათა წევრებიც. უფრო საშიშრად სთვლიან საიდუმლო საზოგადოებას «კოლაო-ჰუი»-ს, რომელსაც დიდძალი მომხრე ჰყოლია ჩინეთში და რომლის წევრთა-შორის თან და თან ვრცელდება აზრი აჯანყების მოხდენის საჭიროების შესახებ. ეს საიდუმლო საზოგადოება წინააღმდეგია როგორც ევროპიელების, ისე სამეფო სახლისაც, რომელსაც სთვლის ჩინეთის დამარცხების მიზეზად.

∝ მსხვერპლი, რომელიც, ჩინეთის იმპერატორის ბრძანების თანახმად, უნდა შესწირონ გერმანიის ელჩის კეტელერის სულის მოსახსენებლად, არის თურმე ჩვეულებრივი წესი ჩინეთში,—წესი, რომელსაც ასრულებენ ყოველ პანაშვიდის დროს. ეს მსხვერპლია—პური და ღვინო, რომელსაც პანაშვიდის დროს სდგამენ საკურთხეველზე. ხშირად ღვინის მაგიერ საკურთხეველზე მოაქვთ წყალი, რომელსაც ქურუმი ღვინოდ იხსენიებს.

∝ უცხოეთის გაზეთები საზოგადოდ ქებით იხსენიებენ გერმანიის იმპერატორის საპასუხო დეპეშას, რომელიც ამ დღეებში იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთშიაც. ავსტრიის გაზეთები ამბობენ, რომ გერმანიის იმპერატორის პასუხი მეტად დარბაისლური და ავტორიტეტულია; ამის შემდეგ იმედია სახელმწიფოები უფრო შეკავშირდებიან და მეტის თანხმობით იმოქმედებენ ჩინეთის საქმეებშიო. საყურადღებოა, რომ იმპერატორი ვილჰელმი ყველა სახელმწიფოთა სახელით უპასუხებს ბოგდიხანს და აგრეთვე ის, რომ პასუხისმგებლად ბოგდიხანის მრჩეველთა და მინისტრებს სთვლის და არა თვით მეფე-დედოფალსაო. ინგლისური გაზეთებიც იწონებენ ვილჰელმის პასუხს. «დეილი ნიუს»-ი ამბობს, რომ მთელი ქვეყანა ღირსეულად დააფასებს ამ პასუხის სიწრფელესა და ენერგიას, რომ გერმანიის იმპერატორის შეხედულება ჩინეთის საქმეზე სწორე არის, ეს ეჭვს გარეშე არისო. უეჭველია, ევროპა, ვილჰელმთან ერთად, ვერ დაკმაყოფილდება იმ მსხვერპლით, რომლითაც ჩინეთს ჰსურს მოინანიოს თავისი ცოდვები და შეცდომებიო. «დეილი ტელეგრაფ»-ი ამბობს, რომ ბევრ გაუგებარ და არეულ განცხადებათა შორის გერმანიის იმპერატორის პასუხი შესანიშნავის სიმძლავრით და გაგებით არის დაწერილი. ეს პასუხი ნათლად გვიჩვენებს, რომ გერმანიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიუწყოს ჩინეთს სამაგიერო იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც ევროპას მიაყენეს მოკრივეებმა. ვილჰელმის სიტყვა ისეთი ავტორიტეტული და ძლიერია, რომ ამიერიდან ყოყმანს ადგილი აღარ ექნება და მთელი ევროპა შეთანხმებით იმოქმედებსო. საფრანგეთის გაზეთებმა თუმცა მოიწონეს იმპერატორის ვილჰელმის პასუხი, მაგრამ გადაჭრით მის შესახებ არას ამბობენ.

∝ არჩევნები პირველად ლიბერალთა სასარგებლოდ მიდიოდენ, ეხლა კი მათთვის არა სასურველი მიმართულება მიიღო. ლონდონში და სხვა პროვინციის თვალსაჩინო ქალაქებში ლიბერალებმა ბევრი ადგილი დაჰკარგეს. გაშავებულ იქმნენ ცნობილი მოწინააღმდეგე ომისა—პიკერსგილლი, «სტარ»-ის რედაქტორი, პროფესორი სტიუარტი, სტენგოპი, ჩემბერლენის უმთავრესი მეტოქე, და სტედმონი. ჯერ-ჯერობით არჩეულნი არიან სამინისტროს მოკავშირენი 279 კაცი, ოპოზიციის—115, ტრედ-უნიონისტთაგან ამორჩეული იქმნა ორი ახალი დეპუტატი.

∝ ლორენცო-მარკეზიდან იუწყებიან, რომ პორტუგალიის მთავრობა ურჩევს ბურებს იარაღი დაჰყარონ და ჰპირდებიან მფარველობას ვიდრე ბურები პორტუგალიის სამფლობელოში იმყოფებიან და მშვიდობიანობის ჩამოვდების შემდეგ პორტუგალიის მთავრობა დახმარებას აღმოუჩენს მათ ტრანსვაალში დაბრუნების დროს. ამბობენ, რომ კრიუგერმა, პორტუგალიის მთავრობას სამადლობელად, სთხოვა პასნერს არ დაანგრიონ ხიდი კომატიპორტთან.

იქიდანვე იუწყებიან, რომ 2,500 ბურმა მიიღო პორტუგალიის მთავრობის წინადადება და ამ ჟამად იმყოფებიან ლორენცო-მარკეზშიო.

∝ გააგის და ლონდონის მთავრობებმა ერთმანეთს გაუგზავნეს ნოტები კრიუგერის ევროპაში მოსვლის შესახებ გემი «გერდერლიანდ»-ით. ჰოლანდიის მთავრობამ უკუ აგდო ინგლისის პროტესტი. იმის და მიუხედავათ, რომ რობერტსმა თავის პროკლამაციაში ტრანსვაალი ინგლისის ახალ შენად გამოაცხადა, ჰოლანდიის დედოფალი მიიღებს კრიუგერს, როგორც პრეზიდენტს. ეს გარდაწყვეტილება დედოფლისა ყველას მოსწონს ჰოლანდიაში.

∝ 1903 წლის 17 მაისს თავდება ვადა სამთა სახელმწიფოთა კავშირის ხელ-შეკრულობისა. ამის გამო ევროპიის გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმაა. უმთავრესად დიდი აღელვებაა იტალიის პრესაში. ბევრი გაზეთი იქ იმ აზრისაა, რომ იტალიისთვის აღარ ღირს სამთა კავშირში ყოფნაო, რომ გერმანიასთან კავშირს იტალიისთვის სარგებლობა არა მოუტანია-რაო და ვნება-კი ბევრიო. ყველაზედ უფრო-კი ავნო იტალიასო საფრანგეთთან მტრულ განწყობილებამ, რაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა გერმანიასთან შეკავშირებასაო. საინტერესოა, რომ კრისპიც, ეს თაყვანისმცემელი გერმანიისა და შემქმნელი სამთა-კავშირისა, ეხლა თითქმის წინააღმდეგია ხელ-ახალის შეთანხმებისა გერმანიასთან და ავსტრიასთან. იტალია სიფრთხილით უნდა მოიქცესო, სწერს კრისპი, რადგანაც ამ ჟამად სრულიად სხვა გარემოებები მოქმედებენო, ვიდრე მაშინ, როდესაც პირველად მოხდა შეთანხმება სამთა სახელმწიფოთა შორისო. კრისპი სწუხს იმის შესახებ, რომ 18 წლის განმავლობაში, ესე იგი, რაც «სამთა კავშირი» არსებობს, იტალია ყურმოჭრილი მონა იყო გერმანიისა და ასრულებდა ყოველს მის მოთხოვნასაო. ამის გამო, თუ გერმანიას ჰსურს ისევ სამთა კავშირის არსებობაო, იტალიამ გარანტია უნდა მიიღოს, რომ ის თანასწორი მოკავშირე და არა მონაო.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**27 სექტემბერი**

**ხარკოვი.** გვარდიის კორნეტი ლესევიცკი, რომელსაც ჰბრალდებოდა ბანტიშის მოკვლა, გამართლებულ იქმნა.

**ლონდონი.** იანცეს ოლქის მეფის მოადგილეებმა, შანჰაიდან მოსულ დეპეშების სიტყვით, მიჰმართეს იმპერატორს თხოვნით, რომ სამეფო გვარი მალე დაბრუნდეს პეკინში, წინაამდეგ შემთხვევაში ხსენებულმა მეფის მოადგილეებმა თავი უნდა დაანებონ თავიანთ სამსახურსაო.

**შანჰაი.** ცნობა მოვიდა, რომ მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს პაოტინფუს; მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**ტიანძინი.** გუშინ აქედან წავიდა პაოტინფუსაკენ საფრანგეთის ჯარის სამი ბატალიონი. ინგლისის რაზმიც მზად იყო წასასვლელად, მაგრამ რადგანაც ის გერმანიის გენერლის ფონ-კეტელერის ხელქვეით არის და რადგანაც გერმანიის რაზმს სურსათი აკლია და წასასვლელად მზად არ არის, ამიტომ ინგლისის რაზმი აღარ დაუცდის გერმანელებს.

**ლონდონი.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სალისბიურიმ ფორმალურად გამოაცხადა, ვეთანხმები გერმანიის ნოტასაო და ბრიტანიის წარმომადგენელს პეკინში სათანადო განკარგულება მიეციო.

**ნიუ-იორკი.** 24 სექტემბერს პეკინიდან გამოგზავნილი დეპეშა, ვითომდა სარწმუნო წყაროებიდან, იუწყება შემდეგს: „ქვივი დედოფალი მძიმედ გახდა ავად ტაიენფუში. იმპერატორს შეძლება მიეცა სრულიად თავისუფლად აწარმოოს სახელმწიფო საქმეები.

გერმანიის ნოტაზედ სასურველ პასუხის მიცემის მიზეზად სთვლიან ლი-ხუნ-ჩანგს.

**ნინგბიენი.** კან-ის და ჩჟაოჩჟუჩუიაოს თავები უნდა მოჰკვეთონ, პრინცი ჩუანგი, ჰერცოგი ტეზილანი და პრინცი იიხი სამუდამოდ იქმნებიან დაპატიმრებული; პრინცი ტუანი გარდასახლებულ უნდა იქმნას შორეულს ადგილებში; ყველა ამათ ჰბრალდებათ „დიდი მუშტის“ მომხრეობა.

**ჰელზინგფორი.** ხელმწიფე მემკვიდრე მოვიდა აქ გემით „ზარნიცა“-თი და წავიდა შემდეგ ფრედენსბურგში.

**პეტერბურგის ბირჟა 27 სექტემბ.**

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96 1/8 |
| 4 1/2 % შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99 1/2 | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 96 1/8 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 333 3/4 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 285 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 214 3/4 |
| 3 1/2 % გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88 1/4 | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 95 1/2 | — |
| 4 1/2 % გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | 85 7/8 |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101 1/2 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 96 1/2 | — |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

გამომც. გ. გუნია



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განჭის დიდი ქუჩ, № 27.